

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



ივნისი

2023



ელექტოენერჯიის ბაზრის მიმოხილვა

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ავტორები:

მარიამ ნულუკიძე
უფროსის მოადგილე

✉ m.tsulukidze@iset.ge

გურამ ლობჯანიძე
მკვლევარი

✉ guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე
მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2023 წლის ივნისში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 8%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 3%-ით გაიზარდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 9%-ით, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 5%-ით შემცირდა.
- გამომუშავებამ მოხმარებას 387 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2023 წლის ივნისის თვის სრული წარმოების 28% და მოხმარების 39%-ია.
- მაისში განხორციელდა 0.016 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- მთავარი საიმპორტო პარტნიორი აზერბაიჯანი იყო
- აპრილში განხორციელდა 341 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო.
- იმპორტის ფასი 6.63 ცენტი, ან 17.34 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- ექსპორტის ფასი 6.54 ცენტი, ან 17.13 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2023 წლის ივნისში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზემოთ შენარჩუნდა და ინდექსის მნიშვნელობა 4,380-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2023 წლის ივნისში ინდექსის მნიშვნელობამ 2,147 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	- მილიონი
კვტსთ	- კილოვატსაათი
ჰესი	- ჰიდროელექტროსადგური
თესი	- თბოელექტროსადგური
HHI	- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	- თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	- ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	- ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2023 წლის ივნისში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,369 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 8%-იან კლებას წარმოადგენს (2022 წლის ივნისში სრული წარმოება 1,485 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური კლება ჰიდროელექტროსადგურების (-8%), ქარის ელექტროსადგურების (-9%) და თბოელექტროსადგურების (-46%) გამომუშავების კლებამ განაპირობა.

თვითრ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 3%-ით გაიზარდა (2023 წლის მაისში სრული წარმოება 1,325 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (+3%) და თბოელექტროსადგურების (+104%) გამომუშავების ზრდამ გამოიწვია, მაშინ როცა ქარის ელექტროსადგურების (-30%) გამომუშავება შემცირდა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 981 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (9%-ით ნაკლები 2022 წლის ივნისთან შედარებით და 5%-ით ნაკლები 2023 წლის მაისთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2023 წლის ივნისში ენერჯის წარმოებამ მოხმარებას 387 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 28%-სა და სრული მოხმარების 39%-ს შეადგენდა (2022 წლის ივნისში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 403 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში, როგორც სრული წარმოების 27%, ხოლო სრული მოხმარების დაახლოებით 37%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო


წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2023 წლის ივნისში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 1,361 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 99.5%), თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოება 2 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.1%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება - 5 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.4%) (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 53% გამოიმუშავა (731 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 37% (509 მილიონი კილოვატსაათი) და 9% (121 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).


დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, თბილსრესმა გამოიმუშავა 2 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 100% და ჯამური გამომუშავების 0.1%) (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 90 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 12% და სრული წარმოების 7%). ენგურჰესმა 543 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯის 74%-ს და სრული წარმოების 40%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2022 წლის ივნისთან შედარებით 8%-ით შემცირდა (დიაგრამა 6).


დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (34% – 337 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (17% – 163 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (25% – 242 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (24% – 238 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა აფხაზეთისგან და პირდაპირი მომხმარებლებისგან შემცირდა, შესაბამისად, 11%-ით და 27%-ით ხოლო თელასი/თელმიკოსგან და ენერგო-პრო ჯორჯიასგან, შესაბამისად, 3%-ითა და 0.3%-ით გაიზარდა, 2022 წლის ივნისთან შედარებით. საერთო ჯამში, 2023 წლის ივნისში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 9%-ით ნაკლები შეადგინა 2022 წლის ივნისის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით




წყარო: ესკო

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუციის შვიდშია.

² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2023 წლის ივნისში საქართველოდან 0.016 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანში (მაშინ, როცა 2022 წლის ივნისში 0.6 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა რუსეთში) (დიაგრამა 9). 2023 წლის ივნისში საქართველოდან 341 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი განხორციელდა (2022 წლის ივნისში 351 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 10). ექსპორტის 74% თურქეთში გავიდა, 22% აზერბაიჯანში და 3% - სომხეთში (2022 წლის ივნისში ექსპორტის 84% გავიდა თურქეთში, 16% სომხეთში და უმნიშვნელო

რაოდენობის ელექტროენერჯია რუსეთსა და აზერბაიჯანში). 2023 წლის ივნისში ტრანზიტი არ განხორციელებულა (2022 წლის ივნისში განხორციელდა 71 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 21 მილიონის ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში).


2023 წლის ივნისში იმპორტი 97%-ით შემცირდა 2022 წლის ივნისთან შედარებით, ხოლო ექსპორტი 3%-ით შემცირდა.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


2023 წლის მაისში იმპორტი არ განხორციელებულა (დიაგრამა 11). 2023 წლის ივნისში ექსპორტი 37%-ით გაიზარდა 2023 წლის მაისთან შედარებით (დიაგრამა 12).

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

1. საბაზრო ოპერაციები

2023 წლის ივნისში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 93% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 7% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2023 წლის ივნისში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 12.14 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური კლების 16%-ს შეესაბამება 2022 წლის ივნისთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 1.86 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2022 წლის ივნისის მონაცემის ტოლია (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2023 წლის ივნისში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით, 11.96 მილიონი ლარი იყო, რაც 2022 წლის ივნისის მონაცემზე 24%-ით ნაკლებია (დიაგრამა 15).


დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2023 წლის ივნისში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 6.63 ცენტი, ან 17.34 თეთრი იყო კილოვატსაათზე (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 9-ჯერ ზრდას და ლარში 8-ჯერ ზრდას (2022 წლის ივნისში ფასი 0.64 ცენტი, ან 1.89 თეთრი იყო). 2022 წლის მაისში იმპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ თვიურ ჭრილში ფასების დინამიკას ვერ შევაფასებთ. 2023 წლის ივნისში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი 6.54 ცენტი, ან 17.13 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 23%-იან, ხოლო ლარში - 32%-იან კლებას (2022 წლის ივნისში ფასები 8.55 ცენტი, ან 25.27 თეთრი იყო კილოვატსაათზე) (დიაგრამა 16). 2023-ის მაისთან შედარებით ექსპორტის ფასი 8%-ით შემცირდა დოლარში და 5%-ით ლარში (2023 წლის მაისში ფასები 7.12 ცენტი, ან 18.05 თეთრი იყო).


დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები



წყარო: ესკო

2023 წლის ივნისში, ელექტროენერჯის იმპორტის ფასი აზერბაიჯანში 6.63 ცენტს, ან 17.34 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო/საქსტატი

2023 წლის ივნისში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში, შესაბამისად, 4.09 ცენტს, ან 10.72 თეთრს, 5 ცენტს, ან 13.09 თეთრს და 7.35 ცენტს, ან 19.25 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი

2. ბაზრის კონცენტრაცია

დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2023 წლის ივნისში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზემოთ შენარჩუნდა და HHI ინდექსი 4,380 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2022 წლის ივნისის მონაცემზე (HHI 2,827 ერთეული) და 2023 წლის მაისის მაჩვენებელზე (HHI 2,670 ერთეული) მაღალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2023 წლის ივნისში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,147 ერთეულს გაუტოლდა (2022 წლის ივნისის მაჩვენებელზე (1,840) და 2023 წლის მაისის მაჩვენებელზე (2,083) მაღალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება. (დიაგრამა 20).


დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20

- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო